



# ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა


ენერჯეტიკა  
კომპლექსური მიმოხილვა  
10 იანვარი 2019

სემეკმა ცვლილებები შეიტანა ბუნებრივი აირის სამომხმარებლო ტარიფებში. სამომხმარებლო ტარიფების გადაანგარიშება შეეხო ბუნებრივი აირის გამანაწილებელ სამ უმსხვილეს კომპანიას, რომელთა წილმაც 2017 წლის ჯამური მიწოდებაში 90% შეადგინა. ბუნებრივი აირის საბოლოო სამომხმარებლო ტარიფი შედგება სამი კომპონენტისგან: ტრანსპორტირება, ბუნებრივი აირის ღირებულება და განაწილება (ტარიფის ეს კომპონენტი ითვალისწინებს თითოეული გამანაწილებელი კომპანიის საინვესტიციო ხარჯებს.) სატარიფო მეთოდოლოგია ითვალისწინებს როგორც 2019 წლის დაგეგმილ ინვესტიციებსა და ხარჯებს, აგრეთვე 2018 წელს დაგეგმილ და რეალურად განხორციელებულ ინვესტიციებს შორის სხვაობასაც. სემეკის ცნობით, 2019 წლის სამომხმარებლო ტარიფი საშუალოდ 0.2%-ითაა შემცირებული 2018 წლის ტარიფთან შედარებით.

**ევა ბოჭორიშვილი**  
კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი  
evabochorishvili@gt.ge  
+995 322 401 111 ext.8036


**მარიამ ჩახვაშვილი**  
ანალიტიკოსი  
mchakhvashvili@gt.ge  
+995 322 401 111 ext.7897

გრაფიკი 1: ბუნებრივი აირის განაწილების ლიცენზიანტების საბაზრო წილები, 2017



წყარო: სემეკი


გრაფიკი 2: ბუნებრივი აირის ტარიფის სტრუქტურა განაწილების ლიცენზიანტებისთვის, თეთრი/მ³



წყარო: სემეკი


შეიცვალა თბოსადგურების 2019 წლის ტარიფებიც, როგორც გამომუშავებული ელექტროენერჯის, ასევე გარანტირებული სიმძლავრის. ტარიფები მნიშვნელოვნად გაიზარდა ჯი-ფაურის (+17.7%), საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაციის ორივე ბლოკისთვის (+10.9%). სხვა თბოსადგურების ტარიფი საშუალოდ 2.5%-ით გაიზარდა. გარანტირებული სიმძლავრის საფასური გაიზარდა მტკვარის ენერჯის (+29.3%), ჯი-ფაურის (+6.3%), მე-3 ბლოკის (+7.3%) და მე-4 ბლოკისთვის (+7.1%), ხოლო გარდაბნის თბოსადგურისთვის თითქმის უცვლელი დარჩა (+0.02%).

გრაფიკი 3: თბოსადგურების ტარიფები, თეთრი/კვტ.სთ.



წყარო: სემეკი

გრაფიკი 4: გარანტირებული სიმძლავრის საფასური, ათასი ლარი/დღე




წყარო: სემეკი



**2019 წელს ელექტროენერჯის მოხმარების 10.9%-იანი ზრდა არის მოსალოდნელი.** ეკონომიკის სამინისტროს მიერ დამტკიცებული 2019 წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) საპროგნოზო ბალანსის მიხედვით, აღნიშნული ზრდის დაკმაყოფილება იგეგმება იმპორტით (+88.3% წ/წ) და ჰიდროგენერაციით (+3.3% წ/წ). საპროგნოზო ბალანსის მიხედვით, ჰიდროგენერაციის ზრდის ძირითადი წყარო 2018 წელს ექსპლუატაციაში შესული და 2019 წელს ექსპლუატაციაში შესასვლელი (4 ჰესი 229გვტ.სთ წლიური გენერაციით) სადგურები იქნება. 2018 წელს თბოგენერაციის 2.9%-იანი კლებაა მოსალოდნელი.


ელექტროენერჯიაზე მოხმარება ძირითადად პირდაპირი მომხმარებლების (+41.7% წ/წ) და ენერგო-პრო ჯორჯიას აბონენტების (+10.5% წ/წ) ზრდით იქნება განპირობებული. პროგნოზი ასახავს 2018 წლის მასში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებების გამო 4 კომპანიის გამოყოფას სადისტრიბუციო კომპანიის აბონენტთა სიდიდან პირდაპირი მომხმარებლებად. პროგნოზი არ ასახავს მოსალოდნელ ცვლილებებს პირდაპირი მომხმარებლების კრიტერიუმებში.

გრაფიკი 5: ელექტროენერჯის საპროგნოზო ბალანსი, ტვტ.სთ



წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

გრაფიკი 6: ელექტროენერჯის მოხმარების პროგნოზი, 2019 წელი



2019 წლის საპროგნოზო ბალანსში აგრეთვე გათვალისწინებულია ელექტროენერჯის ექსპორტის 18.4%-იანი ზრდა. 2019 წლის საექსპორტო თვეებია მაისი, ივნისი და ივლისი (გარანტირებული ექსპორტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოცულობების გამოკლებით). ექსპორტიორი კომპანიები და ექსპორტის მიმართულებები განისაზღვრება წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ ჩატარებული აუქციონებით. ცნობისთვის, აპრილი-ივნისის პერიოდისთვის შესაძლოა ახალციხე-ბორჩხას ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობა შეიზღუდოს (თურქეთის მხრიდან), რამაც შესაძლოა ექსპორტის დაგეგმილი მოცულობების ცვლილება გამოიწვიოს.



ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარზე მოთამაშეების რიცხვი გაიზარდა. ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ საქართველოს კანონში 2018 წლის 22 დეკემბერს შეტანილი ცვლილების მიხედვით:

- პირდაპირი მომხმარებლის სტატუსის მისანიჭებლად არსებულ კრიტერიუმებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. მთავრობამ პირველი დადგენილება ამ საკითხთან დაკავშირებით უახლოეს მომავალში უნდა მიიღოს.
- კანონით დაშვებულ იქნა საბითუმო მიწოდების არსებობა, რომელიც ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის მწარმოებლებისგან და გაყიდის საბითუმო ბაზრის მონაწილეებზე (მაგ. პირდაპირ მომხმარებლებზე). სემეკს ექნება ელექტროენერჯის საბითუმო მიწოდების საქმიანობის მონიტორინგის უფლება, თუმცა მიწოდების საქმიანობა არ დაექვემდებარება ლიცენზირებას. კანონის წინა რედაქცია კრძალავდა მწარმოებლის გარდა სხვა კომპანიისთვის ელექტროენერჯით ვაჭრობას საბითუმო ბაზარზე.
- გარანტირებული სიმძლავრის განმარტებაში შევიდა ცვლილება და შედეგად გარანტირებული სიმძლავრის წყარო შესაძლოა გახდეს არა მხოლოდ თბოსადგური, არამედ ნებისმიერი სხვა ტიპის ელექტროსადგურიც.

პირველი ორი ცვლილება ბაზრის ნაწილობრივ გახსნას ემსახურება, ხოლო მესამე - სისტემის მოქნილობის გაზრდას. ჩვენი მოლოდინით, 2019 წლის განმავლობაში პირდაპირი მომხმარებლის სავალდებულოდ რეგისტრაციის ზღვარი დაიწევს და მოიცავს ყველა მაღალი ძაბვის ქსელზე დაერთებულ მომხმარებელს (როგორც განსაზღვრული იყო ენერჯეტიკის კანონის 2017 წელს თავდაპირველად განხორციელებულ ცვლილებაში, რომელიც მოგვიანებით შეიცვალა ბაზრის მონაწილეების არასაკამრისი ინფორმირების და საბითუმო მიწოდების არარსებობის გამო)

### ელექტროენერჯის გამომუშავება, იმპორტი, მოხმარება და ექსპორტი - ნოემბერი 2018


**2018 წლის ნოემბერში ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 4.3%-ით გაიზარდა** და 1.1 ტვტ.სთ შეადგინა, რაც დაგეგმილ დონეს 6.5%-ით ჩამორჩებოდა. მოხმარების ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანეს კვალიფიციურმა საწარმოებმა, რომელთა მოხმარებაც წლიურად 49.3%-ით გაიზარდა. ეს აიხსნება 2018 წლის მაისში ამოქმედებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე პირდაპირი მომხმარებლების ჯგუფში ახალი კომპანიების დამატებით.

**დისტრიბუციის ლიცენზიანტების მოხმარება წლიურად 0.9% შემცირდა**, რაც ზემოთაღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებას უკავშირდება. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ მიზეზებით გამოწვეული კლება სადისტრიბუციო ქსელებში ნაწილობრივ დააკომპენსირეს ახალმა კომერციულმა და სამომხმარებლო აბონენტებმა.

ელექტროენერჯის მოხმარებამ 2018 წლის 11 თვის განმავლობაში 11.4 ტვტ.სთ შეადგინა (+6.7% წ/წ), რაც მცირედით ჩამორჩება დაგეგმილ მაჩვენებელს.



**გრაფიკი 7: ელექტროენერჯის მოხმარება, გვტ.სთ**



წყარო: ესკო  
შენიშვნა: ენერგო-პრო ჯორჯია მოიცავს კახეთის ენერგოდისტრიბუციის 2017 წლის აგვისტომდე მოხმარებასაც

2018 წლის ნოემბერში ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის 80.4% ადგილობრივი გენერაციით, ხოლო დანარჩენი აზერბაიჯანიდან იმპორტით დაკმაყოფილდა.

ელექტროენერჯის იმპორტი თითქმის გაორმაგდა (+98.9% წ/წ) და ჯამური მიწოდების 19.6% შეადგინა. იმპორტის ძირითადი ნაწილი (მთლიანი იმპორტის 98.3%) განხორციელდა აზერბაიჯანიდან, ხოლო დანარჩენი რუსეთიდან.

2018 წლის ნოემბერში ადგილობრივი გენერაცია წლიურად 6.9%-ით შემცირდა და 0.9 ტვტ.სთ შეადგინა:

- ჰიდროგენერაცია დაგეგმილთან შედარებით 8.9%-ით ნაკლები იყო, ხოლო წლიურად 14.5%-ით შემცირდა. აღნიშნული კლება ცუდ ჰიდროლოგიურ პირობებს უკავშირდება:
  - ენგურ/ვარდნილის გენერაცია 22.1%-ით შემცირდა და ჯამური მიწოდების მხოლოდ 17.8% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ენგურ/ვარდნილის გენერაციის 96.4% აფხაზეთის რეგიონმა მოიხმარა.
  - დერეფულირებული სადგურების გენერაცია 2018 წლის ნოემბერში გაიზარდა 4.6%-ით, რაც ამ ჯგუფში ახალი სადგურების დამატებას უკავშირდება (ოლდ ენერჯი, ბოდორნა, კასლეთი, ხეორი, შილდა1, და სხვა)
- თბოგენერაცია წლიურად 8.8%-ით გაიზარდა, თუმცა დაგეგმილ დონეს მხოლოდ 2.6%-ით აღემატებოდა.

2018 წლის ნოემბერში გარანტირებული სიმძლავრის საფასური წლიურად 0.8%-ით შემცირდა და კვტ.სთ-ზე 0.63 აშშ ცენტი შეადგინა. მხოლოდ მტკვარი ენერჯია და თბილსრესის მე-4 ბლოკი იყვნენ რემონტში ნახევარი თვის განმავლობაში, დანარჩენი თბოსადგურები სრულად აწვდიდნენ სისტემას გარანტირებულ სიმძლავრეს.

**ცხრილი 1: ელექტროენერჯის მოხმარება, ნოემბერი 2018**

მოხმარებელი	წლიური ზრდის ტემპი	წილი მოხმარებაში
<b>შიდა მოხმარება</b>	<b>+4.3%</b>	<b>100.0%</b>
აფხაზეთის რეგიონი	-0.8%	17.9%
კვალიფიციური საწარმოები	+49.3%	14.8%
სადისტრიბუციო კომპანიები	-0.9%	67.3%
ენერგო-პრო ჯორჯია	-0.8%	44.3%
თელასი	-1.2%	23.0%

წყარო: ესკო


**ცხრილი 2: ელექტროენერჯის მიწოდება, ნოემბერი 2018**

მიწოდება	წლიური ზრდის ტემპი	წილი მიწოდებაში
<b>ჯამური მიწოდება</b>	<b>+3.9%</b>	<b>100.0%</b>
იმპორტი	+98.9%	19.6%
ადგილობრივი გენერაცია	-6.9%	80.4%
თბოსადგურები	+8.8%	29.5%
ქარის სადგურები	+32.5%	0.6%
ჰესები	-14.5%	50.3%
ენგური- ვარდნილი	-22.1%	17.8%
სხვა რეგ. ჰესები	-18.4%	18.1%
დერეფულირებული ჰესები	+4.6%	14.3%

წყარო: ესკო




გრაფიკი 8: ელექტროენერჯის გამომუშავება, იმპორტი და მოხმარება, გვტ.სთ



წყარო: ესკო

გრაფიკი 9: ჰეს-ების გამომუშავება, გვტ.სთ



წყარო: ესკო


**ელექტროენერჯის ფასები საქართველოში და თურქეთში - ნოემბერი 2018**

2018 წლის ნოემბერში, საქართველოში ელექტროენერჯის **საბალანსო ფასი** წლიურად 3.2%-ით შემცირდა და კვტ.სთ-ზე 5.1 აშშ ცენტი შეადგინა. საბალანსო ბაზარზე ესკოს გავლით ჯამური მიწოდებული ელექტროენერჯის 28.8% ივაჭრებოდა.

ნოემბერში, საქართველოში ელექტროენერჯის **იმპორტის საშუალო ფასი** წლიურად 3.9%-ით გაიზარდა და კვტ.სთ-ზე 5.0 აშშ ცენტი შეადგინა.

**თურქეთში ელექტროენერჯის საშუალო საბაზრო ფასი** თურქულ ლირაში მკვეთრად (+64.7% წ/წ) გაიზარდა, ხოლო დოლარში ფასის ზრდამ 18.9% შეადგინა. 2018 წლის ნოემბერში, თურქეთის საშუალო საბაზრო ფასმა კვტ.სთ.-ზე 5.5 აშშ ცენტი შეადგინა.

გრაფიკი 10: ელექტროენერჯის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე



წყარო: ესკო, საესტატი, EPIAS

შენიშვნა: 2018 წლის ნოემბერი ექსპორტი არ განხორციელებულა



**ცხრილი 3: ელექტროენერჯის ბალანსი, გვტ.სთ**

	დეკ-17	2017	იან-18	თებ-18	მარ-18	აპრ-18	მაის-18	ივნ-18	ივლ-18	აგვ-18	სექ-18	ოქტ-18	ნოემ-18	11თ18
<b>სულ შიდა მოხმარება</b>	<b>1,163</b>	<b>11,856</b>	<b>1,168</b>	<b>1,059</b>	<b>1,114</b>	<b>979</b>	<b>961</b>	<b>980</b>	<b>1,091</b>	<b>1,047</b>	<b>954</b>	<b>977</b>	<b>1,077</b>	<b>11,406</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	0%	7.7%	8%	5%	9%	5%	12.3%	12.6%	10.8%	1%	4%	3%	4%	6.7%
<i>მათ შორის:</i>														
- აფხაზეთის რეგიონი	241	<b>2,002</b>	247	216	207	149	100	101	116	120	105	122	193	<b>1,679</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	-5%	3.9%	-2%	-7%	1%	-13%	-24%	0%	3%	1%	4%	-10%	-1%	-4.7%
- კვალიფიციური საწარმოები	102	<b>1,427</b>	108	104	115	109	180	176	182	171	160	170	159	<b>1,635</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	-17%	18.1%	1%	-8%	-11%	-14%	90%	35%	34%	24%	32%	40%	49%	23.4%
- სადისტრიბუციო კომპანიები	819	<b>8,427</b>	812	738	792	721	680	702	793	756	688	685	725	<b>8,093</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	4%	7.1%	12%	11%	16%	14%	8%	10%	8%	-3%	-1%	-1%	-1%	6.4%
<i>მათ შორის:</i>														
- ენერგო-პრო ჯორჯია	528	<b>5,493</b>	521	476	521	485	466	476	523	521	468	465	477	<b>5,399</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	8%	8.1%	17%	16%	19%	16%	11%	12%	5%	0%	3%	2%	-1%	8.7%
- თელასი	292	<b>2,935</b>	291	262	271	237	215	226	270	235	221	220	248	<b>2,694</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	-2%	5.2%	4%	2%	10%	9%	3%	7%	13%	-10%	-8%	-6%	-1%	1.9%
<b>სულ გენერაცია</b>	<b>1,080</b>	<b>11,531</b>	<b>1,014</b>	<b>934</b>	<b>997</b>	<b>1,064</b>	<b>1,161</b>	<b>1,208</b>	<b>1,268</b>	<b>985</b>	<b>849</b>	<b>783</b>	<b>900</b>	<b>11,163</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	-9%	-0.4%	6%	15%	35%	30%	6%	6%	2%	-5%	3%	-5%	-7%	6.8%
<i>მათ შორის:</i>														
ჰიდროსადგურები	682	<b>9,211</b>	676	594	775	1,019	1,079	1,200	1,253	827	681	578	563	<b>9,245</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	0%	-1.3%	20%	64%	42%	41%	0%	6%	2%	-12%	-4%	-1%	-15%	8.4%
თბოსადგურები	393	<b>2,233</b>	331	334	215	35	76	3	7	150	160	198	331	<b>1,840</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	-21%	-0.1%	-14%	-24%	14%	-59%	NM	NM	NM	81%	50%	-17%	9%	0.0%
ქარის სადგურები	6	<b>88</b>	7	6	7	9	5	5	8	8	8	7	7	<b>78</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	-19%	NM	10%	7%	-21%	0%	-34%	-41%	10%	-10%	18%	4%	33%	-5.0%
<b>იმპორტი</b>	<b>135</b>	<b>1,497</b>	<b>202</b>	<b>168</b>	<b>161</b>	<b>11</b>	<b>44</b>	<b>6</b>	<b>1</b>	<b>100</b>	<b>139</b>	<b>230</b>	<b>219</b>	<b>1,281</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	302%	212.6%	13%	-33%	-48%	-92%	NM	NM	NM	37%	5%	46%	99%	-6.0%
<b>ექსპორტი</b>	<b>0</b>	<b>686</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>62</b>	<b>200</b>	<b>195</b>	<b>132</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>-</b>	<b>589</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	N/A	22.7%	N/A	N/A	N/A	N/A	0%	-15%	-40%	N/A	N/A	N/A	N/A	-14.2%
<b>წმინდა ექსპორტი</b>	<b>(135)</b>	<b>(811)</b>	<b>(202)</b>	<b>(168)</b>	<b>(161)</b>	<b>51</b>	<b>156</b>	<b>188</b>	<b>131</b>	<b>(100)</b>	<b>(139)</b>	<b>(229)</b>	<b>(219)</b>	<b>(692)</b>
<b>ტრანზიტი</b>	<b>53</b>	<b>254</b>	<b>-</b>	<b>13</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>108</b>	<b>13</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	-61%	-70.1%	N/A	-18%	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	373%	-93.3%

წყარო: ესკო



## მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის ან დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა ფლობლობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზარებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზარებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კრძოლად, ცვლილებები კანონებში და ტარდებები, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულსხმების, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილული იქნას, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულსხმები ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კუთლისინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ. მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულსხმებს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცემული არიან ამ კვლევიტ. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი**  
ევა ბოჭორიშვილი | evabochoishvili@gt.ge

**ეკონომისტი**  
ლამა ქავთარაძე | lashakvataradze@gt.ge

**ანალიტიკური განყოფილების უფროსი**  
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

**სექტორული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი**  
ბაჩანა შენგელია | bshengelia@gt.ge

**ანალიტიკოსი**  
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

**ანალიტიკოსი**  
ანა ნაჭყებია | ananachkebia@gt.ge

**ანალიტიკოსი**  
კახაბერ სამკურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

**ანალიტიკოსი**  
იოსებ ქუმსიშვილი | ikumsishvili@gt.ge

**ანალიტიკოსი**  
თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gt.ge

**გალტ ენდ თაგარტი**  
**მისამართი:** აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,  
საქართველო  
**ტელ:** + (995) 32 2401 111  
**ელ. ფოსტა:** research@gt.ge